



ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების
პრობლემატური ასპექტები

ანა სანაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა სანაია

01.07.2019

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის იმ ყველაზე პრობლემატურ საკითხს, რომელსაც ვერდიქტი ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე არსებობდა ეს ინსტიტუტი და მას შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ვითარდება, დღევანდელ თანამედროვე რეალობაშიც ვერ აღმოიფხვრა ის პრობლემები, რომელიც თავიდანვე არსებობდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ ხარვეზების გაანალიზება, რომელსაც ვხვდებით ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის დროს, რამდენად სრულყოფილია ამ მხრივ ეროვნული კანონდებლობა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონდებლობა, მიესადაგება თუ არა იმ პრინციპებს, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საერთაშორისო დონეზე აყენებს პრეცედენტული სამართლით.

ღირებულება/სიახლე - ნაშრომი უნიკალურია იმით, რომ ერთ საკვლევ თემაშია წარმოჩენილი ვერდიქტის პრობლემატური საკითხები, გაანალიზებულია თითოეული მათგანი დეტალურად როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულადაც. ამ კუთხით ეროვნული კანონდებლობა შედარებულია ევროპულ კონვენციასთან.

კვლევის მეთოდს, რომელსაც ნაშრომში შევხვდებით, მდგომარეობს საკვლევ საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალების გაანალიზებით, სადაც თეორიული მასალა უპირისპირდება რეალობაში არსებულ პრაქტიკას.

ნაშრომის შედეგი - ნაშრომის გაცნობის შემდგომ მკითხველი გაანალიზებს თუ რა ხარვეზები იჩენს თავს ეროვნულ კანონდებლობაში ვერდიქტთან მიმართებით, ასევე დარწმუნება, რომ წარმოჩენილი ფაქტები პრობლემატურია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ გლობალური ხასიათი აქვს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ვერდიქტი, სასამართლო, მართლმსაჯულება, კანონიერი.

Abstract

The presented paper is dedicated to the most problematic issue of the jurors' institution, which is called verdict. Even though this institute existed before Christ and has been developing for centuries since then, in today's modern reality, the problems that existed from the very beginning.

Aim of the research is to analyze the shortcomings we encounter when jurors reach verdict, how perfect is the national law in this regard, the legislation of the foreign countries and the principles that European Convention on Human Rights puts on by legal precedent.

Value/novelty - The work is unique to the problematic verdicts presented in one study topic, analyzing each of them in detail in both theoretical and practical terms, in this respect the national legislation is comparable to the European Convention.

The method of research, which we meet in the paper, is to analyze the theoretical materials around the subject of the study, where the theoretical material is confronted with the practice in reality.

The result of the work - After reading the work, the reader will analyze the shortcomings in the national legislation with verdicts and to convince them that the facts presented are problematic not only for Georgia but also for the global nature.

Key words: verdict, court, justice, lawful.